



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

[www.ozurgeti.gov.ge](http://www.ozurgeti.gov.ge)

ქ.ოზურგეთი

N 11  
06/01/2017

11-03-4-201701061650



**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე გამოყოფილი კორპორაციული ქსელით სარგებლობის ხარჯების განაწილების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტისა და „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის #24 დადგენილების შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილების თანახმად, თანამდებობრივი და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების მიზნით, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე გამოყოფილი კორპორაციული ქსელით სარგებლობის ხარჯები განაწილდეს თანდართული დანართის შესაბამისად.


2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას (ლ. ბიგვაკას)

3. ბრძანება გადაეგზავნოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.#14).

5. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა